# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც. — შაბათი, 8 აპრილი 1900 წ. № 1093

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—26)

**პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ**

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.

**ადრესისა** და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება **„მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.**

(რ 0—2)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—42)

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**5 აპრილი**

**ოდესსა.** ხარკოვიდან დღეს დილას მოსულ მატარებლის პირველ კლასის ვაგონში აღმოჩნდა ჯერ კიდევ თბილი გვამი მოკლულ ახალგაზდა ქალისა,—მასწავლებლის ოლიმპიადა გორიჩისა. ის ოდესსაში მიდიოდა მშობლებთან. ზურგზე აღმოჩნდა ხუთი ღრმა ჭრილობა. ნივთი და ფული არ წაუღიათ. მკვლელი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს შემდეგ ცნობას აწოდებენ ვეპერენიდან: „პარასკევს მტერმა იერიში მიიტანა ჩვენის ჯარების მარცხენა მხარეზე, მაგრამ რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა უკან დაეწია. ბრაბანტის კავალერია შეუპოვრად შეხვდა მტერს“.

რობერტსი იტყობინება, რომ 4 აპრილს 200 ბურმა იერიში მიიტანა დოვანპორტზე, რომელსაც იცავს ინგლისელთა ცხენოსანი რაზმი. ინგლისელთ ორი მოუკლეს და ერთიც დაუჭრეს. ბურებმა მეტი დაჰკარგეს.

**ვაშინგტონი.** სულთანს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თექვსმეტი თვეა პირობა მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს,—გადავუხადო მისსიონერებს 90.000 დოლლარს ზარალს, რომელიც მათ მოუვიდათ სომხების ამოჟლეტის დროსო, ჯერაც არ გადაუხდია არაფერი. ამის გამო შეერთებულ შტატებსა და ოსმალეთს შუა მეტად ცუდი განწყობილებაა; შესაძლებელია სტატს-სეკრეტარმა გეიმ პასპორტიც დაუბრუნოს ოსმალეთის ელჩს.

**კონსტანტინეპოლი.** კიდევ ორი ბატალიონი გაიგზავნა ნოვი ბაზარში, მაგრამ არავინ იცის მიზეზი ჯარების გაგზავნისა.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება, რომ ინგლისის ჯარი ვეპერენში ისევ გარ-შემორტყმულია მტრის ჯარებით. ინგლისელები უახლოვდებიან ვეპენერს მოძმეთა საშველად.

ინგლისელებმა ხელ-მეორედ დაიკავეს რუკსვილი; ბურებმა უკან დაიწიეს. ბრაბანტმა რამდენიმე კაცი დაატყვევა.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ლაგორიდან 4 აპრილს: „გაზეთ Ciwil and Military Qazette'-ში დასტამბულია ავგანისტანის ემირის ბარათი ერთ ერთგულ ქვეშევრდომისადმი. ბარათში ემირი სჩივის, რომ ავგანისტანს ყოველ მხრიდან ავიწროებენ და ინგლისი ამას ყურადღებას არ აქცევსო. ყოველთვის, როდესაც რუსეთი ავგანისტანისკენ ფეხს გადმოდგამდა, მეო,—სწერს ემირი,—წინადადებას ვაძლევდი ინგლისს რუსეთის შეჩერებისათვის ზომების მიღების შესახებ, მაგრამ ინგლისი პასუხს არ მაძლევდაო. დასასრულ ემირი ამბობს: „მიუხედავად მრავალის დაბრკოლებისა მე 21 წლის განმავლობაში ერთგული მოკავშირე ვარ ინგლისის, მაგრამ ეხლა მე უნდა გამოვუცხადო ინგლისის მთავრობას, რომ ლაპარაკის დრო წავიდა და დადგა დრო მოქმედებისათვის“.

**6 აპრილი**

**კაპშტადტი.** ტრანსვაალის წინადადება იმის შესახებ, რომ მისცემს პორტუგალიას იმ ფულს, რომელიც უკანასკნელმა უნდა გადიხადოს მედიატორთა სამართლის განაჩენის თანახმად, მადლობით უარყოფილ იქმნა.

ტრანსვაალის მთავრობას განზრახვა აქვს პროტესტი განაცხადოს ტყვე-ბურების წმ. ელენეს კუნძულზე გაგზავნის წინააღმდეგ.

სტატს-სეკრეტარმა რეიტსმა გამოუცხადა ჟურნალისტებს, რომ მთავრობას არაფერი გადაუწყვეტია მადნების დანგრევის შესახებ.

**მოსკოვი.** ვნების კვირის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ყოველ დღე დაბრძანდებიან კრემლის ტაძრებში.

**ლონდონი.** გაზეთ „ევენინგ სტანდარტ“ იუწყება, რომ გენ. უორრენი უკან დაიბარეს ბრძოლის ველიდან. რაა ამის მიზეზი, სამხედრო სამინისტრო არას ამბობს.

ნიუ-იორკიდან „გლობს“ატყობინებენ: შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა მაკ-კინლეის, რომ ოსმალეთის მთავრობა არ აპირებს უზღოს მისსიონერებს ზარალით. ამიტომ მინისტრი იმ აზრისაა, რომ შეწყვეტილ იქმნას ოსმალეთთან ყოველივე დიპლომატიური კავშირი და მიღებულ იქნას ზომები მის წინააღმდეგ. ეს საკითხი განიხილება მინისტრთა საბჭოს მიერ პარსკევს.

ვაშინგტონიდან ცნობა მოვიდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ მოხდენილ იქმნება საზღვაო დემონსტრაცია.

**პრეტორია.** ბურების ჯარების ერთი უფროსთაგანი, ფრონემანი, იტყობინება რომ 400 ინგლისელი განდევნილ იქმნა ალივალნორტისაკენ; რამდენიმე კაციც ტყვედ იქმნა წაყვანილი; დავლათ წაიღეს ბურებმა ფურგონები და წაასხეს საქონელი მდ. ბეტულიაზე გადებული ხიდი ბურებმა ააფეთქეს.

**ალივალნორტი.** ბურების რაზმი, 300 კაცისაგან შემდგარი, დაიძრა სმიტფილდისაკენ.

**პარიზი** დღეს, დილით, პარიზის ღვთის მშობლის ტაძარში, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ტრანსვაალის ბრძოლის ველზე მოკლულ ვილბუა მარეილის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ ძმა და ქალიშვილები განსვენებულისა, პრეზიდენტის ლუბეს წარმომადგენელნი ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკებისა. მრავალ დამსწრეთა შორის იყვნენ რამდენიმე ადმირალი და გენერალი და ბევრი დეპუტატი. პანაშვიდის დასრულების შემდეგ, ტაძრიდან გამოსვლისას გაისმა ძახილი „ჯარს გაუმარჯოსო!“.

**მოსკოვი.** გუშინ გადაწყდა საკითხი, თუ სად უნდა აშენდეს იმპერატორის ალექსანდრე მე-III ძეგლი. ამისთვის არჩეულ იქმნა ერთი იმ პატარა ბაღთაგანი, რომელნიც მაცხოვრის ტაძრის გარშემო არიან.

**უილიამსტაუნი.** „მერკური“ იტყობინება, რომ ტრანსვაალიდან გამოქცეულების ცნობით, იოჰანესბურგში ყოველივე მზად არის მადნების დინამიტით აფეთქებისათვის. გაზეთი ჰფიქრობს, რომ ტრანსვაალს ამით ჰსურს აიძულოს საფრანგეთი და გერმა-

ნნია ჩაერიონ ომში თავის აქციოერთა ინტერესების დასაცველად.-

**მასსმრუ.** იტყობინებიან, რომ მხარე მეტად დაზარალებულია წვიმებისაგან: მდინარეები ადიდდნენ და გადმოხეთქეს ნაპირები. ნიადაგი გარბილდა, ღელეები წყლით აივსო.

**აკრა.** როგორც აქ იტყობინებიან, გუბერნატორი გოჯსონი თხოულობს ყველა თავისუფალი ჯარების გამოგზავნას. კუმასე ალყა შემორტყმულია; თუ დროზე არ მოვიდა შველა, მდგომარეობა მეტად საშიში იქმნება.

**მოსკოვი.** დღეს ღვთის მშობლის ეკკლესიაში ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ უავგუსტოესი შვილებით მიიღეს წმ. ზიარება. მათთან ერთად წმ. ზიარება მიიღეს. ეზიარნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და მეუღლე მისი ელისაბედ თეოდორეს ასული.

**პეკინი.** შეიარაღებული რაზმები შეადგინა უბრალო ხალხმა თავის დასაცველად. იმპერატორმა უბრძანა ვიცე-კოროლებს და გუბერნატორებს—გამოსცენ განცხადებანი, რომლებშიაც გააფრთხილონ რაზმები, რომ მათ არავითარი ვნება არ მიაყენონ ადგილობრივ ქრისტიანებს; და თუ კი ეს რაზმები ბრძანებას გადაუდგებიან, მაშინ სასტიკად იქმნებიან დასჯილნი.

**ლონდონი.** „მორნინგ პოსტს“ ატყობინებენ ვაშინგტონიდგან: „რადგანაც ამერიკის მთავრობა დაემუქრა იმ იტალიელთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კროტონის მდინარეზე მომხდარ არეულობაში და რომელნიც ხელ-მეორედ დაბრუნდნენ ამერიკაში, რომ გაგზავნილ იქმნენ იტალიაში, ამის გამო იტალიის ელჩმა ფორმათ უკმაყოფილება გამოუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას. ის აცხადებს, რომ იტალიელ მუშათა წინააღმდეგ მიღებული ზომები უკანონო არის და არ ეთანხმება იტალიისა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულ ხელშეკრულობასო“.

**სტოკჰოლმი.** სეიმმა დღეს საერთო კენჭის ყრით მიიღო პროექტი—გადაიდვას სამი მილიონი სამხედრო მასალებისა და თოფების შესაძენათ, 12 მილიონი ახალი ზარბაზნებისთვის და 320,000 კრონი მსროლელ საზოგადოებათათვის 1901 წელს.

**მადრიდი.** მინისტრები სამსახურიდან გამოვიდნენ, რის შემდეგ კაბინეტი ამ ნაირათ იქმნა განახლებული; სილველა—პრეზიდენტი და ზღვის მინისტრი, გილარი, გარეშე საქმეთა მინისტრი, ვადილიო—იუსტიციის, ვილაერედე—ფინანსების, დატო—შინაგან, საქმეთა ასკარაგო—სამხედრო, გარსია ალიკს—საერო განათლების, გასეტი—მოწად მოქმედების.

**პარიჟი.** რუსეთის სავაჭრო პალატა გუშინ საბოლოოეთ შესდგა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა სკალკოვსკი, საპატიო თავმჯდომარედ იქმნება თავადი ურუსოვი, საპატიო წევრებათ—ერჩი გირრი და უმთავრესი კონსული კარცევი.

7 აპრილი

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენ.“ ცნობით გამალანდში აშინტიების სამფლობელოს ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ მოხდა იმ გვარივე უწესოება, როგორც შარშან. მმართველობამ მიიღო საჭირო ზომები. სამასი კაცი ლუგარდის პოკისა გაიგზავნა ნიგერიდან ამბოხების მოსასპობლად.

**ლედი სმიტი.** ნატალში მდგომ ბურების შორის უთანხმოება ჩამოვარდა; მათი რაზმები დაფანტულნი არიან გორაკებზე მდ. ზუნდისა და დეენდეს შუა. რადგანაც ბურები მოელიან ინგლისელების თავდასხმას, მათ ააგეს სიმაგრეები, რომელთა შემწეობით შეუძლიანთ წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელთ; მათი რიცხვი 15 ათასამდინ ადის.

**გააგა.** დღეს დედოფალმა მიიღო წევრები სამხრეთ აფრიკის მისსიისა ლეიცის და მილლერის წინამძღოლობით. შემდეგ მისსიის წევრები მიიღო დედოფლის დედამ. დედოფალი ესაუბრა მისსიის წევრებს 15 წუთი. მისსიის წევრები კმაყოფილნი არიან რომ დედოფალმა პატივი სცა მათ.

**ნიუ-იორკი.** „ჰერალდში“ ვაშინგტონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მართველობას აქვს ცნობები, რომლებსაც ერწმუნებიან, რომ ევროპაში მყოფ ბურთა მისსია ვერ დაიყოლიებს ევროპის სახელმწიფოებს გაერივნენ სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეში.

**ვაშინგტონი.** ამერიკის კონსულმა პრეტორიაში აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ჩიკაგოდან ლაზარეთის წევრები, მივიდნენ რა პრეტორიაში, აღიჭურვებენ სამხედრო იარაღით. სამინისტროს მოხელეთ განაცხადეს, რომ შეერთებულ შტატებს არ შეუძლიანთ ამის აღკრძალვა, რადგან დასახელებულნი პირნი ამერიკიდან უიარაღოთ წავიდნენ და აგრეთვე, კანონების თანახმად, არ შეიძლება ისინი ცნობილ იქმნან ვოლონტიორებად.

**კონსტანტინოპოლი.** გუშინ შესდგა ელსთა კრება შესახებ იმისა, რომ ოსმალეთი აპირებს სადამოჟნო ხარჯის მომატებას. როგორც ისმის ოსმალეთის მმართველონას წარუდგენენ საერთო პროტესტს.

**ალტონი.** ლონდიანში მიმავალი პრინცი უელსისა, მოვიდა აქ სალამოს 10 საათზე, რომელსაც ვაკზალზე განსაკუთრებულის გულითადის სიამოვნებით მიეგება იმპერატორი და პრინცი გენრიხ. იმპერატორი საგანგებო მატარებლით მოვიდა ალტონში უელსის მოსვლის წინ, ხოლო გენრიხი $1^1/_2$ საათიდან უცდიდა. ორმოცდა ხუთი წუთი დაჰყვეს ერთად.

**ბრიუსელი.** ტანჟერიდან იტყობინებიან, რომ სულთანმა მიჰმართა უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ თხოვნით, რომ გადასინჯულ იქმნას 1880 წლის კონვენცია მაროკოს პროტექტორატის შესახებ. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხანგრძლივის თათბირის შემდეგ ერთხმად უარი ჰყვეს სულთანის თხოვნა კონვენციის გადასინჯვის შესახებ იმ დრომდე, სანამ მაროკოს მთავრობა ვერ შესძლებს უზრუნველ ჰყოს უცხოელთა ვაჭრობის ინტერესები მაროკოში.

**პარიჟი.** პალმასიდან, კანარის კუნძულებზე, იტყობინებიან, რომ როზარიიდან მოსულ გერმანულ გემზე აღმოჩნდა ორი კაცი შავი ჭირით ავადმყოფი. ერთი მათგანი უკვე მოკვდა ნავთ-სადგურში, მეორე კვდება გემზე, რომელიც განცალკევებული სდგას.

**ბელგრადი.** ბრალდებით ოქმში მანისტრად ნამყოფის ჩაუშენოვიჩის წინააღმდეგ „ბელგრადსკაია ზადრუგას“ ბანკის საქმეებისა გამო მას ჰბრალდება ქურდობა და სიყალბის ჩადენა.

**ნიუ-იორკი.** ამერიკის ელჩმა ოსმალეთში შტრაუსი, რომელიც ამ ჟამად აქ იმყოფება, უთხრა ერთს ჟურნალისტს შესახებ ოსმალეთთან ლაპარაკისა, რომ საქმის მდგომარეობა სერიოზულია, თუ ოსმალეთის სულთანი მოკლე ხანში არ აღასრულებს თავის დაპირებას. ამერიკის მოთხოვნილება განხილულია ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ და წარდგენილი სულთანთან მოხსენება, რომლითაც ურჩევს მიეცეს შეერთებულ შტატებს ჯილდო.

**პეტერბურგის ბირჟა 6 აპრილს.**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | $214^3/_4$ |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91 „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| $4^1/_2$% ამავე ბანკისა | — „ | 91 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . | — „ | $98^1/_2$ | — „ |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა . . , . | — „ | 91 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | $298^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 258 | — „ | — „ |

დრ. რედ. ალ. ჭყონია

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

შაბათი, 8 აპრილი; ახალი სტილით 21 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 267 დღე. მთვარის მე-23 დღე. დიდი შაბათი. ხსენება წმ. მოწამისა, იროდიონისა, ფლეგმონტისა და ერემიასი.

შემდეგი უქმე: 9—16 აპრილი—ქრისტეს აღდგომის დღეები.

შემდეგი უქმე დღეები: დიდი პარასკევი და დიდი შაბათი.

---

**ნ ი ხ რ ი**

ხორცი ძროხისა 1 გ. —10 კ.
სუკი . . . . 1 » —15 კ.
» ცხვრისა . » » —11 კ.
» კამეჩისა. . » » — 5 კ.
» ღორისა. . » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3^1/_2$ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3^1/_2$ »
ლავაში ჯვ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Апрѣля, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.